

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულება

ეს დებულება ადგენს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტური პარლამენტის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების წესს, არჩევნებში მონაწილე პირთა უფლებებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას წესს.

მუხლი 1. არჩევნების სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი პრინციპები

1. არჩევნების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მოცემული დებულება და ამ დებულების ფარგლებში შექმნილი საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები.
2. აწსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
3. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს მისთვის სასურველ ერთ კანდიდატს.
4. საარჩევნო კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნისა და სხვა ჯამში 9 წევრისაგან. წევრებს ინდივიდუალურად წარადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ამტკიცებს სტუდენტური პარლამენტი.
5. არჩევნები ფინანსდება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) არჩევნები – სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტური პარლამენტის არჩევნები;
- ბ) სტუდენტური პარლამენტი - აწსუ-ს ფაკულტეტო საბჭოს წევრი სტუდენტებისგან შემდგარი ორგანო;
- გ) საარჩევნო რეგისტრაცია – შესაბამისი საარჩევნო კომისიის კანდიდატთა რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღსაღებად;
- დ) საარჩევნო სუბიექტი – ამ დებულების საფუძველზე რეგისტრირებული კანდიდატი;
- ე) საარჩევნო ადმინისტრაცია – ამ დებულების საფუძველზე შექმნილი საარჩევნო კომისია;
- ვ) წინასაარჩევნო კამპანია – საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;
- ზ) წინასაარჩევნო აგიტაცია – სტუდენტებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად;
- თ) კანდიდატი – აწსუ-ს სტუდენტი, რომელიც კენჭს იყრის სტუდენტურ პარლამენტში;
- ი) განმეორებითი კენჭისყრა – კენჭისყრა, რომელიც განმეორებით ტარდება იმ ფაკულტეტზე, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგი;
- კ) არჩევნების დასასრული – საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული არჩევნების საბოლოო შედეგების (განმეორებითი კენჭისყრის ჩათვლით) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნება;
- ლ) არჩევნების დღე (კენჭისყრის დღე) – საერთო ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე;
- მ) საარჩევნო დოკუმენტაცია – საარჩევნო კომისიებში შესული და საარჩევნო კომისიებიდან გასული განცხადებები, საჩივრები, წერილები, საქმიანი ქაღალდები, ოქმები, საარჩევნო ბიულეტენები, სპეციალური კონვერტები, საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები, საკონტროლო ფურცლები, სარეგისტრაციო ჟურნალები, ამომრჩეველთა სიები და სხვა დოკუმენტაცია;
- ნ) სარეგისტრაციო ჟურნალი – ზონარგაყრილი წიგნი, რომლის ზონარიც ილუქება, დასალუქ ფურცელს ხელს აწერს საარჩევნო კომისიის მდივანი და დაესმევა საარჩევნო კომისიის ბეჭედი.
- ო) საბუთების შეფუთვა – საბუთების იმგვარად შეკვრა ან ყუთში ჩაწყობა, რომ შეკვრის დალუქვის შემდეგ ლუქის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს შეკვრიდან რაიმეს ამოღება ან მასში რაიმეს ჩადება;
- პ) ლუქი – ქაღალდის ზოლი, დაწებებული საარჩევნო მოწყობილობის, საბუთების შესაფუთი ყუთის, საბუთების შეკვრის, სარეგისტრაციო ჟურნალის, კენჭისყრის დღის გახსნის ადგილებზე, რომელზეც აღინიშნება დალუქვის თარიღი და დრო რომელსაც ხელს აწერენ ამ დებულებით განსაზღვრული პირები;
- ჟ) ამომრჩეველი – სტუდენტი რომლის მონაცემებიც შეტანილია ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

მუხლი 3. ამომრჩეველთა ერთიანი სია და მისი ფორმირების წესი

1. ამომრჩეველთა ერთიანი სია არის ფაკულტეტისა და კურსების მიხედვით დალაგებული სტუდენტების სია, სადაც შეტანილია სტუდენტის გვარი, სახელი, სპეციალობა;
2. ამომრჩეველთა ერთიან სიაში სტუდენტის მონაცემები შედის ფაკულტეტის მიხედვით.
3. ამომრჩეველთა ერთიანი სია შედგენილ უნდა იქნეს ფაკულტეტების დეკანატების მიერ მიწოდებული

ინფორმაციის საფუძველზე.

4. საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. კომისია ვალდებულია არჩევნებამდე 5 დღით ადრე ამომრჩეველთა სიები გამოაკრას შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებთან.

5. თუ სტუდენტის მონაცემები არ იქნება ან არასწორად იქნება დაფიქსირებული ამომრჩეველთა წინასწარ სიაში, სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს საარჩევნო კომისიას სიაში შეყვანის ან ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის გასწორების მოთხოვნით.

6. სიებში ცვლილებების შეტანა წყდება არჩევნების წინა სამუშაო დღეს. საარჩევნო კომისიას სტუდენტმა პირადობის მოწმობასთან ერთად უნდა წარუდგინოს ცნობა მისი ფაკულტეტის დეკანატიდან იმის შესახებ, რომ ის ნამდვილად ირიცხება შესაბამის ფაკულტეტზე;

მუხლი 4. საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა არჩევა

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი აირჩევიან წევრობის უფლებამოსილების ვადით კომისიის პირველსავე სხდომაზე შესაბამისი საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობიდან სრული შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის თანამდებობებზე კანდიდატებად განიხილებიან კომისიის არანაკლებ 2 წევრის მიერ წამოყენებული კანდიდატურები;

3. ერთი და იმავე კანდიდატის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 5. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი

1. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას თავმჯდომარის სიტყვიერი დავალების საფუძველზე ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის მდივანი.

3. საარჩევნო კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის და საარჩევნო კომისიის წევრთა 1/3 მოთხოვნით მოიწვევა რიგგარეშე სხდომა.

4. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის 2/3

5. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ სრული შემადგენლობის 2/3..

6. განცხადების (საჩივრის) მიღებისას საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალსა და განმცხადებლისთვის (მომჩივნისთვის) გადაცემულ ცნობაში აღინიშნება მისი მიღების თარიღი და დრო.

7. სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

8. სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან 1 დღის ვადაში.

9. საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის ოქმს. ამასთან, განსხვავებული აზრის მქონე წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მას არ აქვს უფლება თავისი ქმედებით ხელი შეუშალოს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

10. კომისია განიხილავს განცხადებას (საჩივარს) და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

11. კომისიის მიერ გაცემული საბუთის მიღებას განმცხადებელი ადასტურებს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.

მუხლი 6. საარჩევნო კომისიის წევრის უფლება-მოვალეობანი და ვადა

1. საარჩევნო კომისიას უფლებამოსილების ვადა იწყება საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღიდან და წყდება ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე. საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია კომისიის წევრად დანიშვნის დღიდან მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში.

2. საარჩევნო კომისიების წევრები ვალდებულნი არიან ხელი მოაწერონ არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ხოლო თუ კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, უფლებამოსილია აღნიშნულის თაობაზე მიუთითოს ხელმოწერის გასწვრივ და განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს.

3. საარჩევნო კომისიის წევრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს და ამ დებულებას. აკრძალულია საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით.

4. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და კომისიის წევრებს უფლებამოსილება უწყდებათ პირადი განცხადებით ან საარჩევნო კომისიის განკარგულებით საარჩევნო

კომისიის სხდომის ზედიზედ 3-ჯერ გაცდენის შემთხვევაში;

5. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

მუხლი 7. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტები

1. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტებია საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება და საარჩევნო კომისიის განკარგულება;

2. საარჩევნო კომისიის განკარგულება არის ინდივიდუალური აქტი, რომელიც მიიღება და გამოიცემა ამ დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საარჩევნო კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. კომისიის განკარგულება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს უჭერს სხდომის შემადგენლობის ორი მესამედისა.

3. საარჩევნო ადმინისტრაციის აქტების შესრულება სავალდებულოა.

მუხლი 8. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

1. საარჩევნო კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, აკონტროლებს დებულების შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოფს საარჩევნო საბუთების, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიის ბეჭდების დამზადებასა

გ) ამტკიცებს განმეორებითი და შუალედური არჩევნების ჩატარების დღეს.

დ) საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პაკეტების გახსნის, საარჩევნო ბიულეტენების ან სპეციალური კონვერტების ხელახლა დათვლისა, ასევე ამომრჩეველთა სიების გადამოწმების შესახებ;

ე) ადგენს ფაკულტეტის არჩევნების შედეგებს და განკარგულებით სრული შემადგენლობის ორი მესამედით ამტკიცებს შემაჯამებელ ოქმს;

ვ) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას;

ზ) განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

თ) ადგენს ამომრჩეველთა ერთიან სიას, ახდენს მის კომპიუტერულ დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის ინტერნეტში განთავსებას;

ი) ანიჭებს კანდიდატებს საარჩევნო ნომრებს.

კ) განიხილავს საარჩევნო პროცესთან და კენჭისყრის მომზადებასთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, ამ დებულების შესრულებას, კენჭისყრის პროცედურის დაცვას, სტუდენტთა,

წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა გარანტირებული უფლებების გამოყენებასა და დაცვას;

მ) აუქმებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას კენჭისყრის ოთახის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეჩერების, ჩაკეტვის შემდგომ შენობის გახსნის, კენჭისყრის გაგრძელების შესახებ;

ნ) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით დასვას ფაკულტეტზე კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საკითხი;

ო) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. საარჩევნო კომისიის ყველა განკარგულება მეორე დღესვე გამოიკვრება საარჩევნო უბანში და ასევე შეიძლება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც.

მუხლი 9. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილისა და კომისიის მდივნის უფლებამოსილება

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საარჩევნო კომისიაში;

ბ) უძღვება საარჩევნო კომისიის სხდომას;

გ) ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს;

დ) დავალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და კომისიის სხვა წევრებს;

ე) კენჭისყრის დღეს ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა შორის ფუნქციათა წილისყრით განაწილებას;

ვ) პასუხისმგებელია კენჭისყრის დღეს უბანში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. საარჩევნო კომისიის მდივანი:

ა) ახარისხებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;

ბ) იღებს და ახარისხებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და შემოსულ კორესპონდენციას;

გ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მსურველ პირებს და გადასცემს მათ დამკვირვებლის მოწმობებს;

დ) პირადად აგებს პასუხს საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტების, კომისიის ბეჭდების, შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა საარჩევნო საბუთების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის;

ე) ადგენს საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმებს;

ვ) პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება.

მუხლი 10. საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია

1. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს აწსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც ამ დებულებით დადგენილი წესით გაივლის რეგისტრაციას საარჩევნო კომისიაში.

2. სტუდენტმა საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის გასაველეად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

ბ) ცნობა, რომ ის სწავლობს აწსუ-ის იმ ფაკულტეტზე, რომელზეც ის იყრის კენჭს;

გ) მისი მხარდამჭერი 50 სტუდენტის სია და ხელმოწერები ფაკულტეტის მიხედვით, სადაც ის იყრის კენჭს.

მუხლი 11. კენჭისყრის დრო და ადგილი

1. კენჭისყრა იმართება სალექციო კვირის ოთხშაბათ დღეს. საარჩევნო კომისია იკრიბება და უბანი იხსნება 9:30 საათზე. კენჭისყრა იწყება 10 საათზე და სრულდება 17 საათზე.

2. კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის ოთახის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა. კენჭისყრის ოთახის დროებით ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების (ისევე, როგორც შემდგომ კენჭისყრის ოთახის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების) გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის. კენჭისყრის ოთახის დროებით ჩაკეტვისა თუ კენჭისყრის შეჩერებისთანავე საარჩევნო კომისია ვალდებულია დაადასტუროს ან გააუქმოს კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. კომისია უფლებამოსილია კენჭისყრის შეჩერების შემდეგ მიიღოს კენჭისყრის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღება განკარგულებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს კენჭისყრის ოთახის დროებითი ჩაკეტვის, კენჭისყრის შეჩერების ან მისი შეწყვეტის მიზეზი და დრო. ოთახის ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით იღება კენჭისყრის ოთახი და განახლდება კენჭისყრა. თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა, იგი აღარ განახლდება. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია თავისი განკარგულებით შეცვალოს კომისიის თავმჯდომარის ამ პუნქტით გათვალისწინებული განკარგულებები.

3. ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

მუხლი 12. კენჭისყრის ოთახის მოწყობა

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ოთახებსა და საოფისე ინვენტარს დროებით სარგებლობაში გადასცემს საარჩევნო კომისიის.

2. უნივერსიტეტის მიერ კენჭისყრის ჩასატარებლად გამოყოფილი ოთახების ვარგისიანობაზე სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საარჩევნო კომისია. კენჭისყრის ადგილი ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, უნდა გამოიყოს შენობის პირველ სართულზე. საარჩევნო კომისიის მოთხოვნით უნივერსიტეტი ვალდებულია, კენჭისყრის ოთახი გამოყოს არჩევნებამდე 3 დღით ადრე;

3. კენჭისყრის ოთახში:

- ა) უნდა გამოიყოს ადგილები ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო ბიულეტენების დამოწმებისთვის;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგეს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი;
- გ) თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ამომრჩეველთა სიები, კანდიდატთა სიები და პროგრამები (არსებობის შემთხვევაში), საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი.
4. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას კენჭისყრის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.
5. პასუხისმგებლობა კენჭისყრის მომზადების, ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფისა და კენჭისყრის ოთახის ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად მოწყობისათვის ეკისრება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

მუხლი 13. საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი

1. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ქართულ ენაზე.
2. საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვასა და საარჩევნო ყუთებით უზრუნველყოფას კოორდინირებას უწევს საარჩევნო კომისია, ბიულეტენები იბეჭდება საარჩევნო კომისიის მიერ უფლებამოსილ პირთა და დამკვირვებელთა მეთვალყურეობით.
3. ბიულეტენების დაბეჭდვის დაკვეთის შემსრულებელი პირადად აგებს პასუხს, რომ დაბეჭდილი და შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული ბიულეტენების რაოდენობა ზუსტად შეესაბამებოდეს დაკვეთილ რაოდენობას.
4. საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
5. საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი აღრიცხვის მიზნით საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული თითოეული სახის საარჩევნო ბიულეტენი თანმიმდევრობით ინომრება და 100-100 ცალად იკინძება ბლოკნოტების სახით.
6. სპეციალური კონვერტების რაოდენობა ტოლია საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა, ხოლო საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტების რაოდენობა – საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 100-ის ჯერადი (მეტობით დამრგვალებული) რიცხვისა.
7. საარჩევნო ბიულეტენის პირველ გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს:
 - ა) არჩევნების დასახელება;
 - ბ) ფაკულტეტის დასახელება;
 - გ) კანდიდატის რიგითი ნომერი, გვარი,
8. საარჩევნო ბიულეტენის მეორე გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს:

საარჩევნო კომისიის წევრის – რეგისტრატორის – ხელმოწერის ადგილი და ბეჭდის ადგილი
9. საარჩევნო სუბიექტის არჩევნებიდან მოხსნის შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ბიულეტენში, სუბიექტის სახელის გასწვრივ მიეთითება _ „არჩევნებიდან მოხსნილია“.
10. საარჩევნო ბიულეტენი წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას. კენჭისყრის დღეს აკრძალულია კენჭისყრის შენობიდან მისი გატანა ან განადგურება.
11. თითოეული ფაკულტეტის დამზადებული საარჩევნო ბიულეტენი უნდა იყოს სხვადასხვა ფერის.

მუხლი 14. საარჩევნო უბნის გახსნა

1. უბნის გახსნის შემდეგ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოავლენს:
 - ა) კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი კომისიის წევრს;
 - ბ) ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს, რომლებიც გასცემენ საარჩევნო ბიულეტენებს ბიულეტენის უკანა გვერდზე სათანადო ადგილას ხელის მოწერის შემდეგ;
 - გ) კონვერტის გამცემსა და მასზე ბეჭდის დამსმელს;
 - დ) ყუთზე ზედამხედველს;
2. წილისყრის ჩასატარებლად საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს იმ დალუქული პაკეტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭედი და ხსნის მას. ამის შემდეგ ერთნაირ ფურცლებზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს კომისიის წევრთა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ფუნქციებს. ფურცელი უნდა დამოწმდეს კომისიის სპეციალური ბეჭდით.

ფურცელი იმგვარად იკეცება, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა. კომისიის ბეჭდით დამოწმებულ შევსებულ და ცარიელ ფურცლებს კომისიის თავმჯდომარე ათავსებს საარჩევნო ყუთში და ურევს მათ. ცარიელი და შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის ტოლი უნდა იყოს. წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები ყუთიდან სათითაოდ იღებენ თითო ფურცელს. წილისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის მდივანს შედეგები შეაქვს სარეგისტრაციო ჟურნალში.

3. წილისყრის შემდეგ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას და აცხადებს მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობას.
4. აღნიშნულ მონაცემები საარჩევნო კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებსა;
5. საარჩევნო ყუთი ილუქება და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პირველი ამომრჩევლის მისვლის შემდეგ მასში საკონტროლო ფურცელს აგდებს, საკონტროლო ფურცელი ივსება ორ ცალად და მათ ხელს აწერენ პირველი ამომრჩეველი და საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკონტროლო ფურცლებზე აღინიშნება საარჩევნო ყუთებში მათი ჩაგდების ზუსტი დრო და პირველი ამომრჩევლის გვარი, სახელი, ნომერი. საკონტროლო ფურცლის ერთი ეგზემპლარი ინახება საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო ყუთების გახსნის შემდეგ მასში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შედარების მიზნით.
6. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შედარების მიზნით ინახავს და პასუხისმგებელია საარჩევნო კომისიაში შენახული საკონტროლო ფურცლის დაცვასა და ნამდვილობაზე.
7. რეგისტრატორს გადაეცემა მისთვის განკუთვნილი ბიულეტენის თითო ბლოკნოტი, რაც დასტურდება მის თავფურცელზე კომისიის თავმჯდომარისა და რეგისტრატორის ხელმოწერებით. ბლოკნოტიდან ყველა ბიულეტენის გაცემის შემდეგ რეგისტრატორს გადაეცემა მეორე ბლოკნოტი და ა.შ.

მუხლი 15. საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური კონვერტის გაცემა

1. საარჩევნო კომისია ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენსა და სპეციალურ კონვერტებს გასცემს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, პირადობის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.
2. კენჭისყრის დღეს ყოველ ამომრჩეველზე გაიცემა ერთი სპეციალური კონვერტი და ბიულეტენი.
3. საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფებში შეიტანება სტუდენტის პირადი ნომერი. ბიულეტენის გაცემას ადასტურებს რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.
4. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

მუხლი 16. კენჭისყრის ჩატარება

1. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.
2. ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანმიმდევრობის დაცვით:
 - ა) თუ სტუდენტი არის ამომრჩეველთა ერთიანი სიაში მას მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელმა კომისიის წევრმა კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება;
 - ბ) კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება და რეგისტრატორს წარუდგენს აკადემიური მოსწრების წიგნაკს (სტუდენტურ ბილეთს);
 - გ) რეგისტრატორი ამომრჩევლის სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ხელის მოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის მიღებას. ბიულეტენის გაცემისას რეგისტრატორი ხელს აწერს ბიულეტენის უკანა გვერდზე სათანადო გრაფასა და ამომრჩეველთა სიაში;
 - დ) ბიულეტენის მიღების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს საარჩევნო ბიულეტენს ამ დებულების შესაბამისად დადგენილი წესით. ბიულეტენის შევსების შემდეგ ამომრჩეველმა ის ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა. დაკეცილი ბიულეტენით ამომრჩეველი მიდის კონვერტების გამცემ კომისიის წევრთან, აძლევს ბიულეტენს, რომელზედაც დაერთყმება საარჩევნო კომისიის ბეჭედი და იღებს სპეციალურ კონვერტს, რომელშიც ბიულეტენის მოთავსების შემდეგ იგივე კომისიის წევრი ურტყამს ბეჭედს.
 - ე) მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. კომისიის წევრს არა აქვს უფლება გახსნას კონვერტი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა;
 - ვ) შემდგომ ამომრჩეველი ათავსებს ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და ტოვებს კენჭისყრის ოთახს;
 - ზ) საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა იკრძალება;
 - თ) საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთზე ზედამხედველი კომისიის წევრი.

მას დახურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდება ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს;

ი) კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში კონვერტის ჩასაგდება ჭრილი.

3. თუ ამომრჩეველს ან საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენსა და სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, წაეწერება „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.

4. თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.

5. კენჭისყრის ოთახი იკეტება 17 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩევლების გვარსა და სახელს და მათ რაოდენობას აცნობებს საარჩევნო კომისიას. კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს.

მუხლი 17. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვა

1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის.

3. დაუშვებელია კენჭისყრის ოთახში შეიარაღებულ პირთა შესვლა.

4. თუ კენჭისყრის ოთახში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ თანამშრომლები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემდეგ პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის ოთახს.

5. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლება აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) დარეგისტრირებულ დამკვირვებლებს;

გ) აკრედიტირებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს;

6. წესრიგის დარღვევისა და საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში კომისიის 2/3 უფლება აქვს სხდომიდან გააძევოს წესრიგის დამრღვევი, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

7. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი და სტატუსი.

მუხლი 18. საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები

1. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით კომისიის წევრებისგან შეარჩევს სამ მთვლელს.

2. მთვლელები თანმიმდევრულად ითვლიან ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას. შედეგები საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში, სადემონტრაციო ოქმში, რის შემდეგაც ცალკე შეფუთავს და დალუქავს ერთიანად.

3. მთვლელები შემდეგი თანმიმდევრობით ითვლიან და პაკეტებად კრავენ:

ა) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს, რომელთა რაოდენობა საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში. პაკეტზე იწერება გამოუყენებელ ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობა;

ბ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს, რომელთა რაოდენობა საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში. პაკეტზე იწერება გაფუჭებულ ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობა.

4. თითოეულ პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო ბიულეტენების სახე, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობა.

5. პაკეტები უნდა დაილუქოს და მათ ხელი უნდა მოაწერონ მთვლელმა და საარჩევნო კომისიის მდივანმა.

მუხლი 19. საარჩევნო ყუთის გახსნა

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას.
2. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევა, საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
3. მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთი და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ერთი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირები. ამ მთვლელების გვერდით დგება დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე.
4. მთვლელები საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ბიულეტენებს ათავსებენ განცალკევებით მდგომ მაგიდაზე, ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და ადარებენ მას საარჩევნო კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს. თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საარჩევნო კომისიას. თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, მთვლელები საარჩევნო ყუთიდან გადმოყრიან სპეციალურ კონვერტებს, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო ბიულეტენები, და იწყებენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას.

მუხლი 20. ხმის დათვლის წესი

1. დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ერთი მეთვალყურე დგება პირველ მთვლელთან, ხოლო მეორე მეთვალყურე, მეორე მთვლელთან. პირველი მთვლეელი აცხადებს (ახდენს ბიულეტენის დემონსტრირებას), თუ რომელი კანდიდატებისთვისაა მიცემული ხმა, ხოლო მეორე მთვლეელი ახდენს საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა ტაბულაციას, რის საფუძველზეც ითვლება თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა. ამის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენები იკვრება ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღწერილი წესით. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს შესაბამის შემაჯამებელ ოქმში.
2. დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:
 - ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის საარჩევნო კომისიის ბეჭდით;
 - ბ) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერით;
 - გ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტებს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
 - დ) სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშის;
 - ე) საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები და მათ ეწერება „ბათილია“, რასაც ხელს აწერენ მთვლელები და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ეს ბიულეტენები პაკეტად იკვრება და მათ რაოდენობას საარჩევნო კომისიის მდივანი დაუყოვნებლივ აღნიშნავს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში; სხვა საარჩევნო უბნისათვის განკუთვნილი ბათილი ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკვრება და მათი რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ სარეგისტრაციო ჟურნალში.
4. მეორე მთვლეელი ახდენს ბიულეტენის დემონსტრირებას და აცხადებს თუ რომელი მიცემულ ხმას, ხოლო მესამე მთვლეელი ახდენს საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა ტაბულაციას, რის საფუძველზეც ითვლება თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა. ამის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენები იკვრება ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღწერილი წესით. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს შესაბამის შემაჯამებელ ოქმში.
5. საარჩევნო ბიულეტენების ყოველი პაკეტი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეკვრას უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე და რაოდენობა.
6. კენჭისყრის შედეგები აისახება საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში. შემაჯამებელი ოქმი არის არჩევნების შედეგების დამადასტურებელი აქტი და მის ყველა ეგზემპლარს ერთნაირი ძალა აქვს. შემაჯამებელი ოქმები ზუსტად აღირიცხება. მათ დამზადებას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია. საარჩევნო კომისიაში ოქმების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის

პირადად აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

7. აკრძალულია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება. ასეთი ოქმი ბათილია. თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა, მის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმში, შესაბამისი მონაცემის გასწორივ, მაშინვე კეთდება წარწერა „შესწორებულია“ და საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც აღინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის შესწორება და ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო. ამ ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება სხდომას, ოქმს დაესმება კომისიის ბეჭედი, გატარდება კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში და დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც შეტანილი მონაცემები იქნა შესწორებული.

8. დამკვირვებლებს უფლება აქვთ დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება.

მუხლი 21. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

1. შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ კომისიის მდივანი ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომელსაც გადასცემენ საარჩევნო კომისიას.
2. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:
 - ა) ფაკულტეტის დასახელება;
 - ბ) არჩევნების დასახელება;
 - გ) კენჭისყრის თარიღი (განმეორებითი კენჭისყრის შემთხვევაში – ეს გარემოებაც);
 - დ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
 - ე) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა;
 - ვ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ითვლება ხელმოწერების მიხედვით);
 - ზ) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;
 - თ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
 - ი) საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტებისათვის და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობა;
 - კ) ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა (საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობისა და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობის ჯამი);
 - ლ) საჩივრების ჩამონათვალი (წარმდგენის ვინაობა, მიღების დრო);
 - მ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი“ და ხელს აწერს მას);
 - ნ) ოქმის სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის თარიღი და დრო (აღინიშნება ოქმის გაცემისას);
3. საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანში. ოქმი უნდა დამოწმდეს საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
4. თუ საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

მუხლი 22. განცხადებები და საჩივრები

1. განცხადება (საჩივარი) საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ შედგენილი უნდა იქნეს ამ დებულების დარღვევის შემჩნევისთანავე, საარჩევნო ყუთის გახსნამდე. საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს მაქსიმუმ ორი დღის განმავლობაში.
2. განცხადებაში (საჩივარში) აღინიშნება:
 - ა) განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;
 - ბ) განმცხადებლის (მომჩივნის) სახელი და გვარი;
 - გ) საარჩევნო უბნის ნომერი
 - დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
 - ე) მოწმის არსებობის შემთხვევაში, მისი სახელი, გვარი;
 - ვ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.
3. განცხადება (საჩივარი) კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ საარჩევნო ყუთის გახსნამდე უნდა გადაეცეს კომისიის მდივანს, რომელიც დაარეგისტრირებს მას სარეგისტრაციო ჟურნალში, ხოლო განმცხადებელს გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების (საჩივრის) კომისიაში მიღების თარიღი და დრო.

4. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე (საჩივარზე) და აღმოფხვრას არსებული დარღვევა.
5. განცხადება (საჩივარი) ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს კენჭისყრის 19 საათამდე და მასში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) განცხადების (საჩივრის) შედგენის თარიღი და დრო;
 - ბ) განმცხადებლის (მომჩივნის) გვარი, სახელი და მარწმუნებელი ორგანიზაციის დასახელება;
 - გ) საარჩევნო უბნის ნომერი;
 - დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
 - ე) არსებობის შემთხვევაში მოწმის გვარი, სახელი, ფაკულტეტი ან რეგისტრაციის ადგილი;
 - ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენა შესაძლებელი გახდა;
 - ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული განცხადება (საჩივარი) საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება სარეგისტრაციო ჟურნალში და საარჩევნო კომისიის მიერ გადაეცემა ზემდგომ საარჩევნო კომისიას კენჭისყრის მომდევნო დღის 18 საათამდე. განცხადება (საჩივარი) ამავე ვადაში შეიძლება გადაეცეს საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ.
7. საარჩევნო კომისიის ჟურნალი იხურება კომისიის მდივნისა და კომისიის წევრთა ხელმოწერით და მოწმდება საარჩევნო კომისიის ბეჭდით.
8. საარჩევნო კომისიის ჟურნალი და შემოსული განცხადებები (საჩივრები) ილუქება ცალ-ცალკე და იკვრება ერთ პაკეტად.
9. საარჩევნო კომისიის ბეჭედი ილუქება ცალკე პაკეტში. პაკეტს ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის სხვა წევრები.

მუხლი 23. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:
 - ა) საარჩევნო ფაკულტეტის დასახელება;
 - ბ) არჩევნების დასახელება;
 - გ) კენჭისყრის თარიღი.
 - დ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ფაკულტეტზე;
 - ე) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა;
 - ვ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა;
 - ზ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა;
 - თ) საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტებისათვის და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობა;
 - ი) ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა (საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობისა და ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობის ჯამი);
 - კ) იმ საარჩევნო უბნის ნომერი, რომელიც კომისიამ ბათილად ცნო, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში და კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველი;
 - ლ) გაცემულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა იმ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი;
 - მ) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;
 - ნ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი“ და ხელს აწერს მას);
 - ო) ოქმის სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.
2. საარჩევნო კომისიის განკარგულებით, სრული შემადგენლობის ორი მესამედით ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
3. საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლს (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), რომელიც დამოწმებულ უნდა იქნეს საარჩევნო კომისიის ბეჭდითა და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით, აგრეთვე საარჩევნო კომისიის განკარგულებებს საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებების შეტანის შესახებ (თუ ასეთი ცვლილებები იქნა შეტანილი) დაუყოვნებლივ გადასცემს აწსუ-ს ადმინისტრაციას.

4. სათანადო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო კომისია გადასცემს საარჩევნო სუბიექტებს და დამკვირვებლებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ერთ-ერთ ეგზემპლარს.

მუხლი 24. დამკვირვებლები და მათი რეგისტრაცია

1. არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დებულებით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან საარჩევნო კომისიაში.
2. დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს რეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირი.
3. დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის – დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს ჰყავდეს ერთი დამკვირვებელი.
4. დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან გარდა, საარჩევნო კომისიის წევრის და კანდიდატისა.
5. რეგისტრაციაში გატარების მიზნით დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 5 დღისა და წარუდგინოს თავისი წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ ფაკულტეტების დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში გადაწყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.
6. საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.
7. დამკვირვებლის მოწმობაში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) დამკვირვებლის გვარი, სახელი;
 - ბ) წარმდგენი ორგანიზაციის სახელწოდება;

მუხლი 25. დამკვირვებლის უფლებები

1. დამკვირვებელს უფლება აქვს:
 - ა) დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
 - ბ) კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის ოთახში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
 - გ) გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.
 - დ) მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;
 - ე) დააკვირდეს ამომრჩეველთა საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემასა და მათ დამოწმებას კენჭისყრის პროცესისათვის ხელშეუშლელად;
 - ვ) დაესწროს ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;
 - ზ) დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რომელშიც შესაძლებელი იქნება საარჩევნო ბიულეტენის დანახვა;
 - თ) დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;
 - ი) განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე და კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მოითხოვოს მათზე რეაგირება;
 - კ) ნახოს თუ რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში ამომრჩეველს;
 - ლ) დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლასა და ოქმების შედგენას;
2. დამკვირვებელს უფლება არა აქვს:
 - ა) ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
 - ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
 - გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
 - დ) ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
 - ე) დაარღვიოს ამ დებულების სხვა მოთხოვნები.